ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №157033

ნომერი: AR145124

თარიღი : 01.05.2012

გაცემის თარიღი : 08.05.2012

გაცნობის თარიღი : 14.05.2012

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჯავახეთი , N 66ა (ნაკვ.14/130) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- პაატა კაჭარავა პ/ნ 01030044982
- თბილისი მ.მამარდაშვილის ქ. N 46

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი

კორექტირება

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ სამსახურს შესაძლებლად მიაჩნია აღნიშნული სამუშაოების განხორციელება, თუმცა შესაბამისი წერილობითი თანხმობის მისაღებად საჭიროა გაითვალისწინოთ შემდეგი:

1. თქვენს მიერ არ არის სწორად შერჩეული ნომენკლატურა. აღნიშნული სამუშაოებზე არ გაცემულა არანაირი ნებართვა, შესაბამისად ელექტრონული განცხადების დარეგისტრირებისას უნდა აირჩიოთ I კლასი – "შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი"–ქმედებები რეკონსტრუქცია (კორექტირების გარეშე). რის შემდგომაც ველები – "სამსახურის მიერ გაცემული წერილობითი დადასტურების ან შეთანხმებული პროექტის ან მშენებლობის ნებართვის ბრძანების რეკვიზიტები"–ს შევსება სავალდებულო აღარ იქნება.
2. ვინაიდან შ.პ.ს "სპეტი"–ს ხელმძღვანელობაზე /წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი არის დირექტორი მამუკა კორძაძე, არქიტექტურის სამსახურს განცხადებით უნდა მომართოს შ.პ.ს "სპეტი"–ს დირექტორმა მამუკა კორძაძემ ან "მინდობილობა/რწმუნებულების" ველში აიტვირთოს მისი მინდობილობა.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge